ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5168820

ნომერი: AR1785108

თარიღი : 29.10.2020

გაცემის თარიღი : 02.11.2020

გაცნობის თარიღი : 14.12.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჩოლოყაშვილის ქ. I კვარტალი N5ბ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა მეგობრობა , N 44-ის მიმდებარედ;
ქალაქი თბილისი , ჩოლოყაშვილის ქ. I კვარტალი N5ბ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა მეგობრობა , N 44-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლევან ბებია პ/ნ 42001010146
- ქ.თბილისი ჩიქობავას 20

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სპორტულ-გამაჯანსაღებლი ობიექტები
  - საცურაო აუზი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2020 წლის 29 ოქტომბრის AR1785108 განცხადება, რომლითაც ითხოვთ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: № 01.17.14.003.633) სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას აუზის განთავსების მიზნით.

პასუხად გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი _

-ვინაიდან საპრეოქტო მიწის ნაკვეთი ვერ აკმაყოფილებს განაშენიანების რეგულირების მინიმალურ პარამეტრებს, ინდივიდუალური პარამეტრების დასადგენად უნდა მიმართოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს შესაბამისი მოთხოვნის კუთხით და შემდგომ წარმოადგინოთ სპეციალური ნებართვა აღნიშნულის თაობაზე.

-საჭიროა მოიხსნას შეზღუდვა დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე და ამონაწერში აღნიშნული შეზღუდვა აღარ ფიქსირდებოდეს.

-წარმოადგინეთ საპროექტო აუზის მიწის ნაკვეთზე განთავსების სქემა. ასევე, სქემაზე დაიტანეთ საპროექტო აუზსა და არსებულ მწვანე ნარგავებს შორის მანძილები. (გაითვალისწინეთ - დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას მინიმალური დაშორება მშენებარე შენობასა და არსებულ მწვანე ნარგავებს შორის შეადგენს 3 მეტრს; ბუჩქების შემთვევაში 1.5 მეტრს.

იმ შემთხვევაში თუ ვერ ხერხდება აღნიშნული მანძილების დაცვა წარმოსადგენი გექნებათ უფლებამოსილი ორგანიზაციის ან/და სპეციალისტის დასკვნა (დენდროლოგიური პროექტი) ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეების მდგომარეობის, სახეობის და გარშემოწერილობის შესახებ, რომელიც იზომება მიწის ზედაპირიდან 10სმ სიმაღლეზე და ტაქსაცია არსებული ხე/ნარგავების მოჭრა/გადატანაზე, შესაბამისი ექსპლიკაციითა და ნუმერაციით).

-დაცული იქნას სერვიტუტი.

-არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ....ფოტოსურათების pdf ფაილი : დამატებით წარმოსადგენია განახლებული, დღეის მდგომარეობით არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა.

-საინფორმაციო დაფა-ბანერი -> ....საინფორმაციო დაფა - ბანერის pdf ფაილი.: წარმოსადგენია საპრეოქტო მიწის ნაკვეთზე განთავსებული საინფორმაციო დაფა – ბანერის ამსახველი ფოტოსურათები შორი და ახლო ხედებიდან.

საინფორმაციო დაფა უნდა დამაგრდეს საზოგადოებრივი სივრცეებიდან აღქმად, თვალსაჩინო ადგილზე და უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა) მშენებლობის ნებართვის მაძიებლის საკონტაქტო ინფორმაციას;

ბ) მიწის ნაკვეთის მისამართს;

გ) მშენებლობის სახეობას და შენობა-ნაგებობის ფუნქციურ დანიშნულებას;

დ) მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელებას/მისამართს და განაცხადის განხილვის ვადებს;

ე) შენობა-ნაგებობის სავარაუდო სართულიანობას ან/და გაბარიტებს.

საინფორმაციო დაფაზე უნდა განთავსდეს მხოლოდ ზემოაღნიშნული მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია და დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება.

-ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე გადის ხაზოვანი ნაგებობა (ს/კ 01.01.834; მესაკუთრე: შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“), საჭიროა წარმოადგინოთ შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“-ს თანხმობა მშენებლობის შესაძლებლობასთან დაკავშირებით, როგორც წერილობითი, ასევე დამოწმებული გრაფიკული მასალის (გენგეგმის) სახით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

დოკუმენტაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 30 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში 2020 წლის 29 ოქტომბრის AR1785108 განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.